საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოადი

მოადი, გვიანფეოდალურ საქართველოში სამართალწარმოების მონაწილე, მოპასუხე, რომლის წინააღმდეგაც მიმართული იყო სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნა ან საჩივარი, მომჩივნის მოწინააღმდეგე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული „ბატონიშვილის სამართლის“ წიგნის მიხედვით, მ-ს და მის საჩივარს სასამართლომ მომჩივნის შემდეგ ცალკე უნდა მოუსმინოს და შინაარსი ჩაიწეროს (მუხლი 24). ამავე წიგნის მიხედვით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მ-ის სასამართლოში მიყვანა მომჩივანს ევალებოდა (მუხლი 143).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ა მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წგ. 1, თბ., 1970; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1 – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1963.

ი. უჯმაჯურიძე